



საია სტამბოლის კონვენციის სრულყოფილ რატიფიცირებას ითხოვს

საქართველოს პარლამენტი [სტამბოლის კონვენციის](#) რატიფიცირებას აპირებს. საია მიესალმება სახელმწიფოს მზაობას დახვეწოს შიდა კანონმდებლობა და ამ გზით გააუმჯობესოს ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში. შემუშავებული „ცვლილებები, ნამდვილად წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს, თუმცა სრულად არ მოიცავს კონვენციით გათვალისწინებულ მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს.

საია განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდება ნებისმიერ წამოწყებას ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. სწორედ ამიტომ, რატიფიცირების პროცესის წარმატებისთვის საია-მ საკუთარი მოსაზრებები საქართველოს პარლამენტს წარუდგინა.

საია-ს მოსაზრებები ეფუძნება სტამბოლის კონვენციით აღიარებულ პრინციპებს და ასახავს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა:

- მსხვერპლის თანხმობის არ არსებობის გამოკვეთა გაუპატიურების კვალიფიცირებისას;
- შემაკავებელი ორდერის გამოცემა ადევნების შემთხვევებში;
- სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ეფექტიანი და თანამომიერი სანქციის გათვალისწინება;
- ქალთა მიმართ ძალადობის, სტრუქტურული დისკრიმინაციის ფორმად აღიარება;

ზემოთ თქმული მოსაზრებები საია-მ უკვე გააჟღერა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის [2017 წლის 21 თებერვლის სხდომაზე](#). მიუხედავად, ჩვენი არგუმენტირებული პოზიციისა, აღნიშნული არ იქნა გაზიარებული.

საია მიიჩნევს, რომ დასახელებული შენიშვნების გაუთვალისწინებლობა ვერ უზრუნველყოფს სტამბულის კონვენციის სრულყოფილ რატიფიცირებას და დააკნინებს ხელისუფლების პოზიტიურ ინიციატივას ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

იმედს ვიტოვებთ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, სათანადო გულისხმიერებით მოეკიდება ამ მნიშვნელოვან საკითხს.